ივანე თიანათაძემ მეტად რთული და ღრმად შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. მის პიროვნებაში შერწყმული იყო მეცნიერის, პედაგოგისა და მოქალაქის საუკეთესო თვისებები. იგი აყო ბრწყინვალე კლინიკისტი, გულსისხლძვარიანი, შესანიშნავი ლექტორ-უბალო მასწავლებელი ალმბრელი; მეცნიერი, მომთხროვენი, გაცივრ სასტაჟი, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი, ყოველთვის პრინციპული, ყოველთვის მაღალმშენობრივი ღირებულების დამცველი. ჯერ კიდევ 1921 წელს ასე მიმართა მან სტუდენტებს: „გაუფრთხილდით ექიმის სინდისს, გაამართლეთ თქვენდამი სახელმწიფოს დიდი ნდობა, იყავით ეპოქისა და თქვენი დიდი ხალხის ღირსნი. ჩვენი ახალი დროის ძლიერება და სიმტკიცე, ჩვენი მომავალი თქვენზე, ახალ თაობაზე დამოკიდებულია, რომ ქართველი ექიმის სახელით ჩვენც შევიტანოთ ჩვენი წვლილი მეცნიერების საღაროში. მეცნიერება კი, ჩვენი დიდი მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოითხოვს ერთგულებას, სიყვარულს, პატიოსნებას“. ამ დღეებში იცხოვრა და იღვაწა ივანე თიანათაძემ. იგი ჭეშმარიტად მისაბაძი მაგალითად დღესაც ყველასათვის, ვინც ჩვენი ეროვნული მეცნიერების, ჩვენი ეროვნული კულტურის სამსახურში დგას.

## ივი ალაიანი ჯანმრთელობაზე ზრუნავდა

1939 წელს ივ. თიანათაძის მიერ დაარსებული კათედრა-კლინიკა გაფართოების მიზნით გადატანილ იქნა ქალაქის მეორე სამშობიარო სახლში, რომელიც მუდამ გადატვირთული იყო მშობიარეებით და ავადმყოფებით. მეურნეობა მაღალ დონეზე იდგა, შემოიღდა გართულებათა და სველიანობის რიცხვი, ორსულთა ტოქსიკოზი, მშობიარეთა ტრავმატიზმი, ნაყოფთა და ახალშობილთა ასფიქსია და სიკვდილიანობა. კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სამეცნიერო მუშაობა. კლინიკამ გამოცა ორი კრებული, სადაც დაბეჭდილი იყო 40-ზე მეტი მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის ნარკვევი აქტუალურ საკითხებზე. ივ. თიანათაძეს კარგად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშობიარო საქმის ორგანიზაციაში საშუალო სამედიცინო პერსონალს. ამიტომ იგი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საშუალო განათლების მეანების, ექთნების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ივ. თიანათაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა აგრეთვე წითელი ჯურის სტაციონარში სამედიცინო განყოფილების გამგედ, ხელმძღვანელობდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორს, კითხულობდა ლექციებს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ყველგან და ყოველთვის ივ. თიანათაძე განსაკუთრებული სიფაქიმიით უფრთხილდებოდა მედიცინის მუშაკის ღირსებას, ყველგან და ყოველთვის გმობდა და ებრძოდა ექიმისათვის შეუთავსებელი, უღირსი ქცევის ყოველგვარ გამოვლინებას. იგი ვერ ეგუებოდა კერძო პრაქტიკას; მან პირველმა აღიმაღლა ხმა აბორტის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1925 წელს იგი წერდა: „ჩანასახი არ არის დედის სხეულის ნაწილი, არც მისი საკუთრება, იგი ცალკე არსებაა და წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ღირებულების საგანბურს; ამიტომ მისი სიცოცხლის მოსახსოვად მიმართული ყოველგვარი ქმედება დანაშაულებად უნდა ჩაითვალოს. ამავე თემას მოუძღვრა ივ. თიანათაძემ მოხსენება – „აბორტი სამედიცინო და საზოგადოებრივი თვა-

მოღვაწეობა“. ამ თვისებებითაა აღბეჭდილი ივ. თიანათაძის მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა, მისი 70-ზე მეტი ნაშრომი, გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე და რომლებიც მეანობა-გინეკოლოგია და ენდოკრინოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სახელმძღვანელო მეანობაში, მონოგრაფიები – „სამედიცინო ატონური სისხლდენა და მასთან ბრძოლა“, „მინაგანი სეკრეციის ჯირვრები და მათი მნიშვნელობა ქალის სასქესო სფეროს პათოფიზიოლოგიაში“. ივ. თიანათაძის სხვა შრომებში განხილულია ორსულთა ტოქსიკოზი, გავისრო კვეთა, საშვილოსნოსა და მისი დანამატების ანთებითი პროცესები, სიმსივნური დაავადებანი და სხვა საკითხები. ყველა ამ ნაშრომს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ივ. თიანათაძის უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებული იყო სამასზე

გრადიო საზოგადოებაში, განათლების საზოგადოებაში, კავკასიელ ექიმთა საზოგადოებაში და სხვ. ხოლო როდესაც საისტორიო საზოგადოებასთან დაარსდა სამედიცინო-სატერმინოლოგიული სექცია, ერთ-ერთი ქვესექციის თავმჯდომარეობა ივ. თიანათაძეს დაეკისრა. აქ დაგროვდა მისი ხელმძღვანელობით სამედიცინო ტერმინოლოგიის დიდძალი მასალა, რომელმაც დიდი საშუალო გავრცელება ქართულ უნივერსიტეტსა და მის სამედიცინო ფაკულტეტს (ივ. თიანათაძის შემოღებულია თვით ტერმინი „მეანობა“). 1915 წელს საქართველოში დაარსდა ექიმთა და ბუნებისმეტყველთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და თავმჯდომარე ივ. თიანათაძე იყო. იგი გატაცებით თანამშრომლობდა საბაშო ეურნალებში „ჯუჯილი“ და „ნავაღლიში“, სადაც ბეჭდავდა პოპულარული ხასიათის წერილებს სამედიცინო და საბუნებისმეტყველო დარგებთან. სხვადასხვა



მეანობის კათედრის თანაშემწეები (1928 წ.) სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ი. ალაიანი, ი. თიანათაძე, ს. კუჭაიძე-გაბრიანიძე, მ. არჯვანიძე, დ. ლორთქიფანიძე, ა. კალანდანი, კ. ნაროშვილი, არდ. ახვლედიანი



# სამოღა, ჩვენი უპანი, ჩვენი თაილი

## გაუსიონი გეგონი

თეიმურაზ მახათაძე დაიბადა 1946 წელს, თბილისში. მეთერთმეტე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში; მესამე კურსიდან სწავლა განაგრძო კიევის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1970 წელს.


1970-1971 წლებში მუშაობდა ქალაქ ვიტომირში ქირურგად, ხოლო შემდეგ თბილისში, ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1974 წელს მოსკოვის ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1976 წლიდან 1986 წლამდე მუშაობდა ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიის ლაბორატორიაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1990 წელს მოსკოვში ტრანსპლანტოლოგიისა და ხელოვნური ორგანოების ცენტრში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1991 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პოლიკლინიკური და გადაუდებელი თერაპიის კათედრის პროფესორად.

არის 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, რამდენიმე გამოგონების, მონოგრაფიის ავტორი. შრომები გამოქვეყნებული აქვს საქართველოში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა. 1996 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1998 წელს ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

ამჟამად თბილისის №1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის მთავარი ექიმია. არის, აგრეთვე ცენტრის ბაზაზე მოქმედი ოჯახის ექიმის საერთო-სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.



დათო გოგოლაძე, მირა პოსტავა, თეიმურ მახათაძე



NEW YORK  
ACADEMY OF SCIENCES  
Temur M. Makhatadze, M.D.  
August 1999

## „კავშირები“

გვიანი დამე იყო. სახლში მეგობრისგან ვბრუნდებოდი. ციოდა. წვიმა და ქარი სახეში მირტყამდა. ქურთუკის სახელო ავიწიე, ხელები ვიბეჭეებდი. და გზა გაგვგრძელდა. ჩემი სახლის ახლოს ძაღლების განაჩინებული ჯიშა და ღრენა შემომესმა. მთელი ღრუ ერთ ძაღლს დასეოდა, ყოველი მხრიდან უტყვდა და კბენდა. ქვები მოგვროვე, ძაღლებს დაეუშინე და როგორც იქნა გაგვანტე. ხელში შემარჩა კატა და ვიბეჭეებდი, ცალთვალა შავი ძაღლი. სახე დიდი ნაჭრილობის გამო სიმეტრიული ჰქონდა, ეტყობა თავის დროზე ნაჯახს ან მანქანის ბორბალს იყო გადარჩენილი. უკანა ფეხზე დიდი ხანი არა ჰქონდა, ნარჩენი ფეხით მივს ვერა სწვდებოდა და კოჭლობდა. ღრუ დროს შეეხვდი, თორემ ძაღლები დაგვუგდნენ, ისე იყვნენ გაავებული. ეტყობა სიმბინჯის ვერა ჰპატიობდნენ. დაევიწყებოდა, თავის მოდგმასა და ვიღაცას რომ არ ეცოდებოდა და შეეყვანებოდა, ვიცოდი სახლში რაც მეოღდა, მაგრამ გული გავიმარე და წამოდი-მეთქი ვუთხარი. ნელ-ნელა კოჭლობით გამოიყვანა. სახლში ყველას ეხინა; მხოლოდ ჩემს ოთახში ენთო მაგიდის ნათურა, კარებში შეჩერდა და გაუღდავად შემომხედა, თითქოს მეკითხებოდა, როგორ მოვიქცეო. ნუ გეშინია, შემოდი-მეთქი, გაგვანტე და ჩემს ოთახში შევიყვანე. სისხლიანი ადგილები თბილი წყლით გავუწმინდე, ვაჭეპე, შემდეგ ჩემი საწერი მაგიდის უკანა გავანთავისუფლე, ჩაწეპე მეთქი-მეთქი, მეც დაეწეპე და დალიღოს ძაღლ ჩამეძინა. დილით დედა ჩემს გასაღებობლად ოთახში რომ შემოვიდა და ძაღლი დაინახა, მოულოდნელობისგან შეკვივდა, დააკვირდა და საყვედური მითხრა: „ეს კავშირები სახლში რამ მოგაყვანინა, არაღის ანგარაღის არ გვიყვებო“. მოუყვებო წუხარული ამბავი და დაკვირდა, ორი-სამი დღე დაგვტოვებ, ჭრილობებს მოემუშებს, და მერე გაეუშვებ მეთქი. დათქმული დრო რომ გავიდა, ხელში შევიყვანე და გარეთ გავედი. სახლიდან გარეა მანძილი გავიარე და ერთგან მის ძირას ჩამოვსვი, აქ უნდა დამეტოვებინა. მიხვდა, რასაც ვაპირებდი, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. დამიბეჭეული გულით გამოვბრუნდი. ნელ-ნელა მოვიდი. ქუჩის ბოლოს რომ მივიღე, უკან მოვიხედე, რამდენიმე ბიჭი შეგროვილიყო და ქვებს ესროდნენ. მერე სად იყო და სად არა საითიოდ ქუჩის ძაღლებიც განდნენ და ისევ ღრენა და ყუყუა ატყდა. მიხვდი, რომ სასიკვდილოდ გავიმეტე, მარტო მიტოვებულს მას სიცოცხლე არ ეწერა. სირბილით უკან დაებრუნდი, აკანკალეული ხელში ავიყვანე და სახლში

წამოვედი. დედა რომ ძაღლთან ერთად უკანმობრუნებული დამინახა, არაფერი უთქვამს, მაგრამ შეგატყვე, რომ გულზე შემოეყარა. ამ დღიდან ოჯახში ჩემს მიმართ უმეყოფილებამ დაისადგურა და გაურკვეველი მოლოდინი ჩამოწვა. ისინი ელოდნენ, რომ მე ამ „სიმბინჯის“ ოჯახიდან მოვაშორებდი, მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა, ოჯახი ძაღლს ვერ შეეგუა. აღარ ისროდა აღარც მამიდას ხმაძალი ლაპარაკი, აღარც ჩემი დის გაუთავებელი სიცოცხლე. რატომღაც ახლა ისინი ხმაძალია საუბრობდნენ. მამიდაჩემი, რომელიც მაკას მერე მე ოჯახში ყველაზე მეტად მიყვარდა, თვალს მარიდებდა და ჩემს ოთახში აღარ შემოდიოდა. ერთ დღეს მითხრა: „გია, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ შენი გულსთვისაც ვეღარ ვუძლებ ამ მდგომარეობასო. სადაც ასეთი სიმბინჯეა, იქ მხიარულება აღარ შეიძლება და ცხოვრება ძნელი გახდაო. მე არ ვიცოდი, თუ ძაღლები ასე მიყვარდა, გუშინ ხელფასი ავიღე, აი, იყიდე, როგორი ძაღლიც გინდა, ოღონდ ეგ გაუშვიო“. და მაგიდაზე ფული დასდო“. არც მე ვარ შენზე ნაკლებად ჰუმანური, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ხომ არ არის – ძაღლია და ასე რატომ გვაწვალე ყველასო“. მამიდა რომ მეღაპარაობდა, საუკუნაოს კარების ჭრი-ალი გაისმა. ჩვენი საუკუნაოს კარები არ იკეტებოდა და როცა ჩვენთან შეზოხილი შემოვიდოდა, ან ვინმე გვესტუმრობდა, ძაღლი საუკუნაოში იმალებოდა. გრძობდა, რომ მისი დანახვა არაღის სიამოვნებდა და თავს არიდებდა. შემოძლია დაეფიცო, რომ მას ყოველი ჩვენი სიტყვა ესმოდა. ახლაც მიხვდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი და საუკუნაოში შეტევა.

რამდენიმე ხნის წინ მე ვითხოვე, რომ ჩემთვის ძაღლი ეყიდათ, მაგრამ ჩემს თხოვნას ქალთა ტრიუმფარტმა ვეტო დაადო. ბევრი რამ მომიხსენეს, რომ ძაღლი ოჯახში უსუფთაობას და არაუფლობას შემოიტანს და რომ საერთოდ არაპიკურია ქალაქის პირობებში ოჯახში ძაღლის გაჩერება. მე მამაჩემის იმედი მქონდა, ვფიქრობდი, რომ მხარს დამიჭერდა, მაგრამ მან ხელები გამაღა და მხრები აჩქეა, აქოღა მე უმრავლესობის აზრს ვემორჩილებო“. „ბილატე მეთქი“, – მის გასაკონად გაბრაზებულმა ხმაძალი ვთქვი. ისე კი მე მას ჩემს გულში დიდი ხანია ჰილატეს ვეძახი, რადგან ასე მეონია, რომ მას თავისი აზრი არაფერზე არ გაანინა, ან თუ გაანინა ღრმამთა მალვას, და საერთოდ, ყველა მნიშვნელოვან საკითხს ჩვენს ოჯახში ქალთა სამეული სწევებს.

ჩემი და მაკა საერთოდ კარგი გოგონა, მაგრამ ხასიათი აქვს ცუდი, ანხილია, მაგრამ მე მასზე გაბრაზება არ შემოძლია, მის უტაქტობას ვურადლებას არ ვაქცევ და როგორც უფროსი

და თანაც კაცი, ყოველთვის მე ვუთმობ. უბრალო რამეზე რომ აქოთქოთდება დედა იტყვის ხოლმე: „არა უმაეს, ცოტაც მოვითმინოთ, გათხოვდება და მერე ქმარმა იცეს თავში“-ო, რაზეც მე ვპასუხობ ხოლმე: „ვინ ითხოვს ამ აპარსა მეთქი“. ასე კი ვამბობ, მაგრამ ძაღლიან კარვად ვიცი, როგორ მოსწონთ მაკა ჩვენი ეზოს და სკოლის ბიჭებს და მეამაყება ასეთი ლამაზი და რომ



თეიმურაზ მახათაძე

## სამშობლო ჩემო, სამთხვე ჩემო...

ომთა სიმრავლეს ვერაინ მოსთვლის რაც საქართველოს გადუხვდა, მაგრამ არასდროს მუხლზე დახოქილს მტრის წინ მას თავი არ დღუხნია. ოსმალთ, ლეკი და ყიზილბაში, ვინდა იყო, რომ თავს არ გვესსმოდ, არაბთ ამირა, ოსმალთ ყაენი ოთქოს ერთმანეთს ეცილებოდა. ომი და ომი და ისევ ომი, ქართველი ერი ნადგურდებოდა და ისტორია საქართველოსი სისხლით და ცრემლით იწერებოდა. დრო გადიოდა. უცხო ყმაწვილი, მამაკი გმირი გამოსწვდებოდა და თითქოს უკვე განწირულ ხალხსა მეფედ, პატრონად ედღინებოდა. განმსწვევდა, დაუყვავებდა, ვაზს დაურეგავა, სახლს უმეხებდა, გამოიყვანდა სამალავიდან და ისევ ბარში დასახლებდა. აუშენებდა ახალ სალოცავთ, იმედღეარგულით თავს ევლებოდა და საქართველო, ვითა ფენიქსი, ისევ ფერფლიდან იბადებოდა. იბადებოდა, კვლავ იბრუნებოდა, მხრესაყ ვაშლიდა, ძლიერდებოდა, მაგრამ მომხელური არ ილღოდა და ისტორიაც მორღებოდა... ვახტანგ გორგასლის მატანეში უკვდავი თავი ჩაუწერია, მისი გმირული სახელი დღესაც

ხალხს სალოცავად შემორჩენია. მეფე დავითი, ჰაბუკი მეფე, ქვეყნისა ტერიტორიით დამამებელი, ქვეყნარეული საქართველოზე, ჰაბუკობაშიც დაბრძენებული. ერის პატრონი, ერის მფარველი, მასმულ მშრონეული სიყვლის დღემდე. ერთ მუშტად შექრა მან საქართველო, ნიქოსიდან დარუბანდამდე. დიდი დავითის დიდი შემეძირე. გულით ჩვეული და სული მედგარი. დიდსულოვანი, შემწხარებელი ერის სუფეში ბრძენი თამარი. ქვეყანა უხვი, ძაღმე მდიდარი, თვითონ ხალთა და მორგალებული, ისე იმეფა მის ქვეყანაში, არც ქურდი იყო, არც ავის მქმნელი. ვახტანგ მეექვსე, უიღლო მეფე, სამშობლოს ბედით ღამწუხრებული. მტერს არ ღანებდა, ვერც მორია უცხოობაში აღია სული. მეფე ერეკლე, პატარა კახი, ისევ იმედი, ისევ სუფეში, ბრძოლებში განუღო გრძელი ცხოვრება, არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში. ამ თეირფას სახელით სხეაც ბევრი ახლავს. მათი ჩამოთვლა არც იოლია. და სამუდამოდ ქართველი კაცის გულის ფიცარზე აღგვკვილია. ქვეყანა ჩემო, სამთხვე ჩემო,

ხალხთ კეთილი, მშრომელ-გამრჯელი, კაცო-რანდო, ქალი-ნატიყო, მაღალხეობით, სიბრძნით განთქმული. შენ საამაყო წარსული გქონდა, ერთგულნი მუღამ თავს გვევლებდნენ, ღალატს თუ ვინმე გულს გაივლებდა, ვით შხამიან ჩველს ანადგურებდნენ. დღეს ბედის ჩარხი შემოგრიდა, დღეს საქართველო განსაყვლდნია, მოღალატენი აღმეგებულან და ქვეყნის ბედი ორგული ხელშია. მათ არ იციან სამშობლოს ყიდრი, სინდის-ნამუსი დუკარგით და როგორც ქრისტე ბედურულ თედას ქვეყანა ვერცხლზე გაუყიდათ, მაგრამ ხომ ვიცი, ქვეყნის ღალატი არსად არაღის არ მერჩენია, არც მათ შერჩებათ, მედროვების სეალინდელი დღე განწირულია. ბაზალეთის ტბის ძირას აყვანი, ოქროს აყვანი კვლავ დაიწვევა და იმ აყვანში ღვითი მოვლენილი უცხო ყმაწვილი წამოიბრდება. წამოიბრდება იგი ყრმა ჩვილი, დღეს თუ არა ხვალ ფეხზე დადგება, ქვეყნის გათხილვით და მოღალატეთ როგორც ღვთის რისხვა თავს დაატყდება. და ხალხს განწირულს, იმედღეარგულს სიყვითისაყენ წინ გაუძვება.

თეიმურაზ მახათაძე



# გაყლის თვხვილან მიხრა გიმორი



მამა მისი, ნანა ბაგვაძე

ჩვენი უფროსი თაობა, ლამაზი, მოკრძალებული, მაღალი ზნეობრივი კულტურის წარმომადგენლები, ქალბატონები ბრძანდებიან, რომლებმაც ათქმევინეს მავანთ და მავანთ თბილისზე „პატარა პარიზი“. ის თაობა, არ გამოირჩეოდა ფუფუნებით, განსაკუთრებული ტანჩაცმულობით ან თვალში საცემი აქსესუარებით. შეიძლება კარაღამ იყოს გემოვნებით, ისე მოხდენილად მისადაგებელი, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდით. თითოეული მათგანი ჩვენი ცხოვრების ნაწილია და, ამდენად, საჭიროდ ვთვლით მოვიფიქროთ, გავიხსენოთ, რათა მათი სახელები დავიწყებას არ მივცეს.

მარჯანიშვილის და კამოს ქუჩების გადაკვეთაზე, ცნობილ უნივერსიტეტის ახლოს პლენარის 88-ში ცხოვრობდა აპოლონ ბაგვაძის ოჯახი. ყურადღება გაგარის წარმოშობა, რადგან იგი ხშირად ნახსენებ გვარებს არ მიეკუთვნება. კობა არაბულმა შესანიშნავ წერილში „მზის შვილი, ანუ მითი განათლებული სამყარო“, რომელიც მიუძღვნა გამოჩენილ მოქანდაკე ჯემალ ბაგვაძეს, საინტერესოდ განმარტა გვარის წარმოშობა: „დიდი მზის კოლხეთი „ბეა“ მზე კოლხურ-იბერიული მითოლოგიის მიხედვით“. აქედან გამომდინარე, ყველა ამ გვარის შვილი მზის შვილია“. გარეგნობით წარმოსადგები, ნამდვილი ინტელიგენტი, ბატონი აპოლონი ეკონომისტი გახლდათ. მას გვერდს უმსგავსებდა შესანიშნავი მანდილოსანი ქალბატონი მამა მისი, სცენის ტრეფალი და მსახიობი. პირველი ნაბიჯები მან რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე გადადგა. ამ დროს თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ ბატონი სანდრო ასპეტელი, რომელმაც მსახიობზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და რაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარ ხანად იქცა. ქალბატონი მამა კარგად მღეროდა და ცეკვავდა, რამაც განაპირობა მსახიობის აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გადასვლა, სადაც რეჟისორი ბატონი მიხეილ ჭაბუკაძე და კომპოზიტორი ვალერიან ცაგარეიშვილი მოღვაწეობდნენ. ბენიერ დღეებთან ერთად ბუდის უკუღმართობამ ბევრი დაუმსახურებელი დარტყმა აგება ამ შესანიშნავ ოჯახს. ყველაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა 1930 წელს, როდესაც მუსიკალური კომედიის თეატრთან

ერთად მოსკოვში საგასტროლოდ გამგზავრა ქალბატონი მამა. მოახლესთან ერთად თან ახლდა პირველი ქალიშვილი ერთი წლის ნანა. ბავშვი ავადმყოფობამ იმსხვერპლა და საცოდავი დედა შვილის სურათით ხელში დაუბრუნდა ოჯახს. ამ დიდმა ტრაგედიამ დედა მოსწყვიტა თავის საყვარელ საქმეს. წლები გავიდა, მეუღლის სულიერმა მდგომარეობამ აიძულა ბატონი აპოლონი, სწორედ ისევე მან შეუძახა მეუღლეს და მისი ძალისხმევით ქალბატონი მამა დაუბრუნდა სცენას. იგი იწყებს მოღვაწეობას პლენარის პროსპექტზე სახელმწიფო თეატრის სცენაზე. თეატრის დირექტორი გახლდათ ვიქტორ ნინიძე.

ბავშვების ოჯახში თავს იყრიდა ახლო მეგობრული წრე: ბუჟუა შავიშვილი, ცუცა მექარიანიშვილი, თამარ აბაკელია, ვერიკო ანჯაფარიძე, ნინო მაყაშვილი, ალექსანდრა (შურა) მუჯირი, თამარ ციციშვილი, სუსანა ელიავა, მარია ჩიქოვანი, დიმიტრი მაჭუკაიანი, ბორის ჩიქელაშვილი, დუდე მწელიძე, შაქრო ოსოფაშვილი, ვარლამ თოფურია, მარგო ციციშვილი, ზინო და ს-

გამოჩენილი მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, ნანა ლამაშიძე, თამარ ჭავჭავაძე თავისი ლიკით. მათ ხშირად ახლდათ თან დეიდაშვილი, ახლა უკვე ცნობილი მუსიკანტი, ბატონი გულბათი ტორაძე. აქვე ისვენებდა ბატონი გოგლა ლეონიძის ოჯახობა. ერთ დღეს თინათინ ლეონიძემ შენიშნა შავიშვილი, დიდთალება ქალბატონი, შესანიშნავი პატარა გოგონათი. ასე შეხვდნენ ერთმანეთს, ქალბატონი მამა და ბატონი გოგლა ლეონიძის ოჯახები. მათი მეგობრობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და დამთავრდა დანათესავებით. ბატონი გოგლა ლეონიძის ოჯახმა გულთ შეიყვარა პატარა ნანა და ნათლის მისის შესრულებაც ივალდებულა. ოჯახები ძალიან ხშირად, ერთად იყრიდებოდნენ, სადილობდნენ და დაუვიწყარ მხიარულ დღეებს ზეპნიდნენ ერთმანეთს. ერთი ასეთი დღე დამთავრდა უცბადედი სატირული ლექსით, რომელიც ბატონმა გოგლამ მიუძღვნა ქალბატონ მამას. ლექსი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ვინაიდან იგი კარგად გადმოგვცემს ამ ორი ოჯახის ურთიერთმეგობრულ ვითარებას, ამდენად პირველად ქვეყნდება ჩვენს მიერ.




მამა გერსამია, ბავშვები როზაქიმე, მამა მისი, ბორის ჩიქელაშვილი, დუდე მწელიძე და სხვები

ნდრო ჯალაშვილები, რუსულან დავითაშვილი.  
ბავშვების ოჯახი მსახიობთა თემის ადგილი გახლდათ, რაც განაპირობა ტერიტორიულმა სიახლოვემ. ყოველი რეპერტივის ან სპექტაკლის შემდეგ იმართებოდა დისკუსია, სადაც გულბათი საუბარში ხდებოდა სპექტაკლის შეფასება და ჩატარებული საღამოს აეკარგიანობა. მალე ოჯახს შეემატა ორი ქალიშვილი: ნანა და მარინა.

სახელმწიფო თეატრში ნათამაშები სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ქალის როლი „აჯილა“, რომელიც ქალბატონ მამას საუკეთესო ნათამაშები როლად ითვლება. სპექტაკლს გამომხატურებდა ქონდა პრესაში. ქალბატონ მამასთან ერთად აქ მონაწილეობდნენ: ს. შანშიაშვილი, დ. მელიქიშვილი, გ. პავლიაშვილი, ს. ანკარა, თორაძე, დავითაშვილი, ნ. მდივანი. დადგმა ეკუთვნოდა ნ. გომიამის, მხატვრობა დ. კვირიკაშვილს.

60 წლისთავის იუბილე გოგლა ლეონიძისთან



ლალი პირვალიძე

ქართველ ერს მდიდარი სამედიცინო ტრადიციები გააჩნია და ამ ტრადიციებს ღრმა ფესვები აქვს. ქართული

მედიცინის ისტორიაში დიდ როლს თამაშობს ხალხური მედიცინა. კოლხი მედიკოსი სასწაულმოქმედებები ათეული საუკუნეების წინანდელი ისტორიაა.

## „უსწორო კარაბადინი“ 1000 წლისაა

ცნობილია ისეთი რთული მანიპულაციები, როგორცაა თავის ქალს ტრეპანაცია, კატარაქტის ოპერაცია, აგრეთვე ფეხბურთის სამურნალო და პროფილაქტიკური საშუალებები, მკურნალობა მინერალური და ცხოველური წარმოშობის საშუალებებით. ეს ყველაფერი ხალხური მედიცინის მაღალ დონეზე მიუთითებდა.

მებისთვის და დანტერესებულ პირთათვის არის განკუთვნილი, დღევანდელი თერაპიული ცნობარის მსგავსად. „უსწორო კარაბადინი“, ეს ხომ კარაბადინის კლასიკური ნიმუშია, რომე

ლიც პირველი სამედიცინო დამწერლობითი ტექსტია. ნაშრომი ვახტანგ VI-ის თაოსნობით იქნა შეკრებილი, აღდგენილი და შთამომავლობისთვის შემონახული.  
„უსწორო კარაბადინი“ მაღალმეცნიერული ნაშრომია, დღევანდელი მედიცინის მოთხოვნების გათვალისწინებითაც კი პრაქტიკულად გამოსადეგი წიგნია.  
ექიმი-სტომატოლოგი, ლალი პირვალიძე

სულ იქ ამოღდა. ერთი დღელი მექამა კიდევ სურს ავლად ეს რა ჭეჭი მაგა? მაგა ამბობდა - „Когда“ (1939).

მეგობრობა დიდი სიყვითა და მისი შედეგად ყოველთვის ბენიერების მომტანია. წყნობა, ბატონი გოგლას ოჯახში ჩაყვარა საფუძველი დიდ მეგობრობას და სიყვარულს. აქ, მოქმედი გიმირები არიან პატარა ნანა ბაგვაძე და დიდი რუსი მწერალი ნიკოლოზ ტინოვი, რომელიც ხშირი სტუმარი გახლდათ ბატონი გოგლას. ყოველდღიურ სტუმარს, ჭეჭიკა პატარა ნანას პოეტი უწერდა პატარა ლექსებს, რომლებიც ერთ ალბომშია თავმოყრილი სათაურით „Зоосад в Цхети. Сочинения дяди Коли Зверененко“. ოჯახის რელიევი დღესაც ქალბატონ ნანას ოჯახში ინახება, რამდენიმე წლის წინ გამოცა და ამით ბავშვთა ლიტერატურა გამდიდრდა. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი კრებულია, რომელიც მწერალმა მიუძღვნა ბავშვებს. ტინოვის მეტი ამ თემაზე არ შეუქმნია არაფერი. გარდა ამისა, ოჯახში ინახება ბატონი გოგლა ლეონიძის კრებულის პირველი გამოცემა მწერლის ავტოგრაფით: „კუძღნი მაგას, აპოლონს, ჩემს კარგ მეგობრებს „წყნოთური ღამეების“ მოსაგონებლად და ნანას მომავალს“ 16.V.1939 წ. ეს ისტორიული მეგობრობა შესანიშნავად აქვს აღწერილი ქალბატონ ნანა ქეთარაძეს სტატიაში „მავონდება ჩუქურთმაში ყვაილი“. მაგრამ ერთი ეპიზოდი, რომელიც ვერ მოხვდა სტატიაში მინდა მოგიხსნათ. ერთ გაზაფხულის წვიმიან ამინდში, საგურამოში, ბატონი გოგლა და ნიკოლოზ ტინოვი მოსიარობდნენ. უცებ ცაზე საოცარი ცისარტყელა გამოფეკა. მეგობრები გაჩერდნენ. ბავშვებით აღფრთოვანებულმა ბატონმა გოგლამ გაშლილი ხელები მაღლა ადამკრო და სტუმარს მიმართა: „Вот видите, в знак нашей дружбы, я лия Вас и радугу организовал“. შემდგომში ეს ფრაზა ხალხმა აიტაცა და იგი იქცა ერთ წოდებულ „ფრთოსან ფრაზად“ იგონებს ქალბატონი ნანა.

ოჯახის დიდი ზეიმის დღე 15 დეკემბერი, ნანას დაბადების დღე იყრიბოდა დიდძალი საზოგადოება. აქ სტუმრებს შორის მაშინდელი მოწინავე



ნიკოლოზ ტინოვი, ნანა ბაგვაძე

საზოგადოების სახელებს ვხვდებით: თამარ ციციშვილი მეუღლით მიტო გედევანიშვილი, სუსანა ელიავა-გაბუნია და სხვა. პირველი სადღეგრძელო ოუბილარს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ სუფრაზე შემული დებატები და დიდი სიხარული. ქალბატონი მამას პარტნიორი გახლდათ საყვარელი რძალი ვერა ალენიკოვა, რომელიც აკომპონიმენტთან ერთად მეორე ხმასაც უძღვროდა. მათ რეპერტუარში ღვდრდა ქალაქური სიმღერა-ომანსები: „მახსოვს ტურფაე“, „ორთავ თვალის სინათლე“, „მშვენიერი გეტრფი“, „Мне все равно“ და სხვა. შესანიშნავი დღესასწაული აღინიშნა ბატონ გოგლა ლეონიძის დაბადების 60 წლისთავი. ქალბატონმა მამამ უზარმაზარი ბროლის ლარანკში ჩააწყო გოგლა ლეონიძის უსყვარლესი იები, გვერდებში მოათავსა 60 შოკოლადის ბლურა და ასეთი სიტყვებით მიმართა ოუბილარს: „ჩემო გოგლა, შენი სიხარული, სითბო, სიტკბო და შემდეგი შემოქმედებითი წლები ბელურებით შემიკრებილიყვენ ყოველ დღე შენს შემოქმედებით გაფენილ ოთახში“.

6. აბილური (გაგრძელება შემდეგ ნომერში).

Рамишвили“.  
შორს რომ არ წავიდე, ქართველი ქალი - ოფთალმოლოგის მაღალი პროფესიული დონის დახასიათებითვის მსოფლიოში განთქმული მეცნიერის, აკადემიკოს ტატიანა შატლოვას ხსენებაც, ალბათ, საქმარისი იქნება.  
დღეს, შესაძლოა რეფორმების ნაჭარველ გატარების პროცესში ქართულ ოფთალმოლოგიას თქვენ შეუნახეთ ნამდვილი სახე, ვინაიდან ძირითადად თქვენი ძალისხმევით იყვნენ რჩებიან დაავადებული ბავშვები, ლტოლვილები, მშვიერ-მწვერვალნი, ქვეყნის, შრომისა და ომის ვეტრანები.  
ამიტომ არის, რომ ქართული ოფთალმოლოგია არასოდეს გალანდულა საქართველოსთვის ამ უძიმეს წლებშიც კი.  
უღრმესი მადლობა ამისთვის თქვენ!  
რევაზ გურგენიძე



# გამოსაზრება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერებში გამოქვეყნდა საქართველოს დედების ღირსი ქვეყნის პრეზიდენტის ელზარდ შვეარდნაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სახელზე, პორნოგრაფიული პრესისა და ტელეგადაცემების აგრესიის თაობაზე, რასაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულისხმიერი გამოხმაურება მოჰყვა. დღეს ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს, რომელთა აზრსაც ჩვენი გაზეთის რედაქციამ იზიარებს.

## საქართველოს საპარტიო რეორგანიზაცია

საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ფონზე თავის მძაფრდება ტრადიციული ქართული ქრისტიანული ზნეობისათვის შეუფერხებელი, ფსევდოდემოკრატიული ტენდენციები, რომლებიც, სრულიად უსაფუძვლოდ, სასაზოგადოებო კულტურის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნევა. ამგვარი ტენდენციები პროპაგანდის ავანგარდში მსოფლიო გარყვნილების ქადაგებას. საქართველოს საპარტიო რეორგანიზაციის გეგმის მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურები და მისი მრევლი აღმფეთხებული არიან პიროვნების, განსაკუთრებით მთავრად ფსიქიკასა და ორგანიზმზე ამგვარი აგრესიის ფაქტებით. ჯიხურებში ფსევდოდემოკრატიულად იყიდება ათეულობით გაზეთი, რომელიც შეიცავს ამზრუნველი ფორტობითა და ამორალური შინაარსის ტენდენციებით მრავალწევრიანი, კომოსექსუალური, ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორის ხორციელი ურთიერთობის რეკლამირებას. ასეთ გაზეთთა უმრავლესობა, მათი პორნოგრაფიაში მხილებისას, ცი-

ნიკურად ეგრეთწოდებულ „ეროტიზმის“ ნიღაბს ეფარება, რაც ფოტოსურათებზე მცირე ზომის რადიუსის ლაქების დადებით გამოხატებას. უადგილოა მსჯელობა, თუ სად მთავრდება ეროტიკა და სად იწყება პორნოგრაფია. ქრისტიანული თვალთახედვით ორივე ამ მოვლენით. დანტერესება არაა ბუნებრივია. ასეთი პროდუქციის არათუ ფართომასშტაბური გავრცელება, არმედ არსებობაც კი დიდი უზნეობაა. როგორც მსოფლიო სოციოლოგიური პრაქტიკა ადასტურებს, სექსუალური თავისუფლების ასეთი პროპაგანდა ადამიანში იწვევს ანგარიშმიუცემელ ქმედებებს, ფსიქიკურ ტრავმას, რაც, არც თუ იშვიათად, იმპოტენციით და სრული სულიერი დეგრადაციით მთავრდება. ეს არის უდიდესი დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე. დიდად სამწუხაროა, რომ მსგავს ამორალურ პროპაგანდას ხელს უწყობს საქართველოს ტელევიზიის ზოგიერთი არხი, განსაკუთრებით „რუსთავი-2“, ხოლო ამ არხის ყოველკვირეული გადაცემა „ფსიქო“ ხშირად გარყვნილების ინტელექტუალურ და ზნეობრივ გამართლებას ემსახურება.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ე. წ. „ლიბერალი“ – ამგვარ პორნოგრაფიულ აგრესიას მკენე მოვლენად არ მიიჩნევს – ადამიანის თავისუფალი ნების შეუზღუდველობის მოტივით. მათ მიუვებთ, რომ ისევე, როგორც მამა ზრდის შვილს გარკვეული აუცილებელი შეზღუდვებით, ასევე სახელმწიფომ ეკლესიის დახმარებით უნდა იზრუნოს თავისი მოქალაქის არა განუკითხავად თავისუფალ, არამედ – ბოროტისაგან თავისუფალი ზნეობრივი იერსახის ჩამოყალიბებაზე, რაც ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, სულიერი ჯანმრთელობის საფუძველია. როგორც პავლე მოციქული ვგასწავლის, რასაც თავს ვუძინებთ, მისივე მონები ვართ. ჭეშმარიტი თავისუფლება ხომ ცოდვისგან თავისუფალ ცხოვრებას ნიშნავს და არა – მდაბალი ვნებების მონობაში ყოფნას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ჯანსაღი დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემასთან მეტნაკლებად ყოველ ცივილიზებულ ქვეყანას ახასიათებს. სადაც პორნოგრაფიული პროდუქცია და ტელეგადაცემები შეზღუდულია როგორც დროით, ასევე სივრცობრივად.

საქართველოს საპარტიო რეორგანიზაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტს, რაც შეიძლება სწრაფად განიხილოს პრესის შესახებ კანონპროექტი; მიგვაჩნია, რომ კანონის წინაშე უნდა დადგეს ისიც, ვისთვისაც კომერცია ზნეობრივ საზღვრებს არ ითვალისწინებს. ამასთან, რეკლამის შესახებ კანონში, არაეთიკური რეკლამის ცნებაში სასურველია დაკონკრეტდეს რეკლამაში პორნოგრაფიული ხასიათის დეტალების მიუღებლობა. ხოლო პრესისა და ამ პრობლემასთან მდგარი რომელიმე სხვა კანონის მიღებად აღმასრულებელ ორგანოს მიემართოს თხოვნით, მათ ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით აგრესიონ, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, შეზღუდონ ამგვარი პროდუქციის გავრცელება. მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ასეთი ქმედების საფუძველს იძლევა.

საქართველოს საპარტიო რეორგანიზაციის პრესცენტი  
1.12.98.

**საქართველოს მწვანეები**  
**GEORGIA GREENS**  
03/134  
23. 10. 98წ.

საქართველოს მწვანეები სრულიად იზიარებს საქართველოს დედების წუხილს და მხარს უჭერს მათ მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელიც შეეხება იმ არაზნეობრივ სატელევიზიო ფილმებისა და ფუნდამენტალური ვაგონების აკრძალვას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში და განსაკუთრებით მთავრად თაობაში ადერახსნილობის, უზნეობისა და ძალადობის დამკვიდრებას.

საქართველოს მწვანეთა აღმასრულებელი მდივანი  
რუსუდანი სიმონიძე

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**  
**THE NATIONAL-DEMOCRATIC PARTY OF GEORGIA**

თბილისი 380008, რუსთაველის გამზ. №21  
ტელ: (99532) 983536; ფაქსი: (99532) 983188

21 Rustaveli ave. Tbilisi 380008, Georgia  
phone: (99532) 983536; fax: (99532) 983188

№ 50-11/4  
28 თებერვალი 1998 წ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სრულად იზიარებს და უერთდება „საქართველოს დედების“ სატელევიზიო ფილმების ჩვენებას და უცხადებს მათ თანადგომას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ მოზარდი თაობა საქართველოს ხვალისდელი დღეა და მათი ზნეობის დამახინჯების უფლება არავის აქვს.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე  
ირინა სარიშვილი-ჭანტურია

**საქართველოს დემოკრატიული პარტია**  
**DEMOCRATIC PARTY OF GEORGIA**

380122, თბილისი, ანაგის ქ. 7  
ტელ: (7 8832) 38 11 72, 38 05 33

7 anagi str. Tbilisi, 380122  
Tel.: (7 8832) 38 11 72, 38 05 33

№ 466  
22. 10. 1998 წ.

საქართველოს დემოკრატიული პარტია სრულიად იზიარებს საქართველოს დედების წუხილს და მხარს უჭერს მათ მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელიც შეეხება იმ არაზნეობრივ სატელევიზიო ფილმებისა და ფუნდამენტალური ვაგონების აკრძალვას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში და განსაკუთრებით მთავრად თაობაში ადერახსნილობის, უზნეობისა და ძალადობის დამკვიდრებას.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე  
მარიამ მამაძიძე

**საქართველოს ამაღლებული პარტია**  
**AMALGAMATION**

380122, თბილისი, ანაგის ქ. 7  
ტელ: (99532) 983536; ფაქსი: (99532) 983188

380122, Tbilisi, Anagis St. 7  
Tel: (99532) 983536; Fax: (99532) 983188

№ 50/11  
22. 10. 1998 წ.

საქართველოს ამაღლებული პარტია სრულიად იზიარებს საქართველოს დედების წუხილს და მხარს უჭერს მათ მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელიც შეეხება იმ არაზნეობრივ სატელევიზიო ფილმებისა და ფუნდამენტალური ვაგონების აკრძალვას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში და განსაკუთრებით მთავრად თაობაში ადერახსნილობის, უზნეობისა და ძალადობის დამკვიდრებას.

საქართველოს ამაღლებული პარტიის თავმჯდომარე  
მარიამ მამაძიძე

**საქართველოს სოციალისტური პარტია**  
**Socialist Party of Georgia**

380122, თბილისი, ანაგის ქ. 7  
ტელ: (99532) 983536; ფაქსი: (99532) 983188

380122, Tbilisi, Anagis St. 7  
Tel: (99532) 983536; Fax: (99532) 983188

№ 03/90  
28 თებერვალი 1998 წ.

საქართველოს სოციალისტური პარტია სრულიად იზიარებს და უერთდება „საქართველოს დედების“ სატელევიზიო ფილმების ჩვენებას და უცხადებს მათ თანადგომას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ მოზარდი თაობა საქართველოს ხვალისდელი დღეა და მათი ზნეობის დამახინჯების უფლება არავის აქვს.

სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე  
მარიამ მამაძიძე

**საქართველოს სახელმწიფო აკრძალვიანი უნივერსიტეტის ქალთა საბჭო**  
**საქართველოს სახელმწიფო აკრძალვიანი უნივერსიტეტის ქალთა საბჭო**

საქართველოს სახელმწიფო აკრძალვიანი უნივერსიტეტის ქალთა საბჭო სრულიად იზიარებს საქართველოს დედების წუხილს და მხარს უჭერს მათ მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელიც შეეხება იმ არაზნეობრივ სატელევიზიო ფილმებისა და ფუნდამენტალური ვაგონების აკრძალვას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში და განსაკუთრებით მთავრად თაობაში ადერახსნილობის, უზნეობისა და ძალადობის დამკვიდრებას.

ქალთა საბჭოს თავმჯდომარე  
მარიამ მამაძიძე

**საქართველოს კომუნისტური პარტია**  
**საქართველოს კომუნისტური პარტია**

380122, თბილისი, ანაგის ქ. 7  
ტელ: (99532) 983536; ფაქსი: (99532) 983188

380122, Tbilisi, Anagis St. 7  
Tel: (99532) 983536; Fax: (99532) 983188

№ 01/13  
23 თებერვალი 1998 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტია სრულიად იზიარებს საქართველოს დედების წუხილს და მხარს უჭერს მათ მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელიც შეეხება იმ არაზნეობრივ სატელევიზიო ფილმებისა და ფუნდამენტალური ვაგონების აკრძალვას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში და განსაკუთრებით მთავრად თაობაში ადერახსნილობის, უზნეობისა და ძალადობის დამკვიდრებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე  
მარიამ მამაძიძე

**განცხადება:**

მიმდინარეობს ხელმოწერა ისტორიული-ლიტერატურულ გაზეთზე „მეფეთუხანი“, სადაც მოღვაწეობენ ისტორიკოს-ლიტერატორები, ურნალისტები და მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები – ქაბუა ამირეჯიბი, ილია ტაბაღაძე, ნიხილ ქვლივიძე, ნოდარ გურამიძე, რეზო კვეციანი, ნანული ბარათაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი და სხვები.

ცნობებისათვის დარეკეთ: 95-45-90



# გამონათქვამები ქალებზე

ათასი გზა ახებობს იმისათვის, ხომ ქალი ააღაპრავს, მაგჩამ გასაჩუქებდად - გზას ვეი იპოვი.

ქალებს მოსწონთ რამაზი მამაკაცები, განათლებულს აღმეჩიებენ, უეთილები - უყვართ, მაგჩამ ცოლად მხოლოდ ძლიერებს მიჰყვებიან.

ქალი - ეს ახის ცა, მაგჩამ ეს ცა ისე მალდა მამაკაცისაგან, ხოგოხც ცის თალი - მინიდან.

ქალები ახასოდეხ ახიან ისეთი ძლიერი, ხოგოხც დამახცების შემდეგ.

სადაც

სუ აჰყვებით მამაკაცებს ჩხუბში, სუ აძლიერებენ ნერვებს, თქვენვე დახარაოდებით. ექიმმა-ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ერთსა და იმავე სფრესულ საფეხვასა ქალებს გაცილებით მეტი სფრესული ჰორმონი გამოიყოფათ, რაც იმუნურ სისტემას ასუსტებს და არგანობს ერევა ესა თუ ის სურს, მაშინ, როდესაც მამაკაცს ჰორმონალური სფრესი ნაკლებად ირევა. ამიტომ არის, რომ თქვენ დღითი, ნერვებანებელი ხართ, ის ყი დღითი ემზადება სარკის წინ.

დაიძლიერებ!

# თქვენი

კარდინალ რიშელიეს სამი ცოლი ჰყავდა. მას სამივემ უღალატა, მაგრამ მას მეუღლეების ღალატი დიდად არ აღონებდა. ერთხელ მეორე ცოლს საყვარელთან შეუსწრო, ქალი შეშინდა, მაგრამ კარდინალმა დაამშვიდა:

- ქალბატონო, წარმოგიდგინათ, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაივდებით თავს, ოთახში სხვა ვინმე რომ შემოსულიყო?...

გერმანელ ფილოსოფოსს ემანუელ კანტს ჰკითხეს:

- რომელი ქალები არიან ყველაზე ერთგულნი, შავთმიანები თუ ქერები?

- რა თქმა უნდა, ჭალარები.

ოქროს ქორწილზე იუბილარმა ქმარმა მიატოვა მცირე ხნით თავისი ბედნიერი მეუღლე და მეგობარს შეეკითხა:

- ადამიანის მოკვლისათვის რამდენი წლით სვამენ ციხეში?

- ოცით, რაზე მეკითხებით?

- ეეჰ... ეს რომ მომეკლა ქორწილის შემდეგ, ახლა უკვე გარეთ ვიქნებოდი.

აბა მითხარი, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ქალწული და თბილისი?

- თბილისი - ყოველთვის თბილისია.

ცოლ-ქმარი სტუმრად წასასვლელად ემზადებიან. ქმარი ოფიციალურად

რად მიმართავს ჩაცმით გართულ ცოლს:

- რომელი პერანგი ჩაიცვა, ქალბატონო! უღილებო, დაჭმუჭული თუ დალაქავებული?

ქალი თვითმფრინავში ცუდ, მოუხერხებელ ადგილზე იჯდა. აფრენიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, იქვე მჯდომი მამაკაცი წამოიღო და სადაც გავიდა. შეწუხებულმა ქალმა სახსრაფოდ მისი ადგილი დაიკავა და შევებით ამოისუნთქა. მალე თავს ადგილის პატრონი დაადგა.

- ოჰ, უკაცრავად, ბატონო! მეგონა თვითმფრინავიდან ჩახვედით, იმართლა დაბნეულმა ქალმა თავი.

- დედიკო, მიყიდე რა დაიკო? - შეეხვეწა პატარა ქეთი დედას.

- კარგი, შვილო, გვალ წავალ ჰუმანიტარულ მალზონში და მოგიყვან დაიკოს.

- ქეთიმ ტირილი მორთო: - არ მინდა ნახმარი დაიკო...

მე და ბაბუა ლანჩხუთში ტაქსი ველოდებოდით. ჩამოდა ტაქსი. ბაბუა შეეკითხა მძღოლს:

- ძამა, აცანაში მივიდვარ და რას დანერს შენი ტაქსი?

- რას დანერს და „ვეფხისტყაოსანს“, დაჯექი ყაზახო, თუ ჯდები, - უპასუხა მძღოლმა.

X X X

საგიჟეთში, მთავარ ექიმთან - თანამშრომელი შევარდა:

- ბატონო ანდრო, მეექვსე პალატაში ჩხუბია, ნაპოლეონი ლენინს ახრობს, გვიშველეთ!..

- სად იყო ეს ვირიშვილი ნაპოლეონი. - ცხრაასჩვიდმეტში?!

ცოლი ტელეფონით მეგობარ ქალს ელაპარაკებდა:

- იცი, ჩემი ქმარი სიფილიტიკია.

ქმარი გვერდითი ოთახიდან კარნახობს:

- ძვირფასო, რამდენჯერ გავიმეორე: სიფილიტიკი კი არა, არამედ ფილათელისტი.


ლმერთო ჩემო, რა მოგსვლია სახეზე? - გაკვირვებულია მეგობარი.

- მფრინავი თეფში მომხვდა.

- ნუთუ მართლა?!


- თუ არ გჯერა, ჩემს ცოლს ჰკითხე...

ქმარი სამსახურიდან გვიან დაბრუნდა. რატომღაც ძალი მას გააუბებული ყვირით შეხვდა.



- დღითი წვენი წომ გავიპასუვას, ათი წლით ვახალგაზრდავდები.

- აწ შეიძლება ძვირფასო, წვენი ხადამოს, დანთლის წინ წომ გავიპასუვას?



- შენი ცოლი თუ გინმენდს ტანსაცმელს?

- აწა, მხოლოდ ჯიბეებს...

ნახატები შეადგინა ჯამალ კვანცალიანმა

## ხსოვნა

გარდაიცვალა სააქციონერო საზოგადოების მანქანათმშენებელი ქარხნის „მეგობრობის“ დირექტორი კარლო თომას მე დოლიძე.

კარლო დოლიძე დაიბადა 1934 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ კონხარში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. 1958 წლიდან მუშაობდა დიფუზ მანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1978 წლიდან კი სიცოცხლის ბოლო დღემდე ქარხნის დირექტორია.

დიდა კარლოს დედაწლი საქართველოს მანქანათმშენებლობის განვითარებაში. იგი გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, გამომგონებელი, გულისხმიერი და შრომისმოყვარე პიროვნება.

მან თავის ქარხანაში შემოიყვანა ბავშვობისდროინდელი ამხანაგები და შექმნა კლუბი „მეგობრობა“. კლუბის უცვლელი პრეზიდენტი და აქტიური მოღვაწე თავადვე იყო წლების მანძილზე.

კიდევ ერთი წვერი დააკლდა ჩვენს სამშოს ბატონი კარლო დოლიძის სახით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული.

მეგობრები



## დავით აღმაშენებლის (პლენანოვის) გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოება და გაზეთი „მეფეთუბანი“ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების წევრი შუაური პურჭულაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

- ნეტავ, რა უთხარი ქალო ჩემზე - ამისთანა?

- აუცილებლად უნდა წავიდეთ დედაჩემთან - შინაგანი ხმა მარნახობს.

- ღმერთო ჩემო! - ამოიხორა ქმარმა - ქალო, შენ კიდევ შინაგანი ხმაც გაქვს?

დირექტორმა გადაწყვიტა მდივანი ქალი გაენთავისუფლებინა და მთავარ

ინჟინერს შესთავაზა თავისთან გადევანა. ინჟინერმა ჰკითხა:

- რატომ ათავისუფლებთ?

- ერთი მაგისიც... არ ვარგა მაგას ჩემი ცოლი ჯობია.

გავიდა რამდენიმე დღე. დირექტორმა ჰკითხა ინჟინერს:

- აბა, რას იტყვი ახალ მდივანზე?

- დიას... თქვენ მართალი იყავით. თქვენი ცოლი მართლაც უკეთესია.



- გახხვებს, ცხრა თვის წინ, ორი ვილით კადმახებზე სათევზად წომ გამეგზავრე?

- მახხვებს, მეწედა, რა?

- აწაფეწი, დღეს ერთმა „კალმამმა“ დაწეკა და... მამობა მოგილოცა.

33

**ტყეფიუბანა** №3(15) ყოველთვიური

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში

გამოცემის საზოგადოებრივი საწყისი

რედაქცია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სისუსტეზე

დამფუძნებელი: ვაჟა სალუშვაძე - საზოგადოებისა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამომცემელი.

საბჭოს წევრები: ჭაბუა აშიროშვილი, ნანული ბარათაშვილი, შურამ ჯაფარიძე, ვანო წახაშვილი, ნოდარ ზაქარაიანი, ჯამალ კვანცალიანი, ჯამალ შიქლაძე, ილია ტაბაღანი, მისიელი კვიციანი.

სტილისტი-კორექტორი: ლონარა ბერიძე

მთარსადა და გამოქვეყნებული რედაქტორმა ვაჟა სალუშვაძემ. თბილისი 380064, მისიელი წინამძღვრობის ქუჩა, №114. ტელ.: 95-45-90.